აღმოსავლეთის მსხვილი რეგიონლური მოთამაშეების და რუსეთის ურთიერთობების ანალიზი, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

სიმონ გურეშიძე
ისტორიის დოქტორი,
ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი
საქართველო, თბილისი, გ. წერეთლის 3.
+995 595-56-61-23. Simon.gureshidze@iliauni.edu.ge
ORCID: 0000-0002-9545-8238

აბსტრაქტი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, სადაც სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა ტრადიციულად ეფუძნება ბალანსის და ძალთა გაწონასწორების პრინციპებს. მოცემული სტატია მიზნად ისახავს ისრაელის, საუდის არაბეთის, გაერთიანებული არაბული საამიროებისა და ეგვიპტის დამოკიდებულებებისა და ქცევის ანალიზს რუსეთის მიმართ ომის დაწყების შემდგომ პერიოდში.

ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნული ქვეყნები იცავდნენ ორმაგი თამაშის ტაქტიკას - ერთის მხრივ ინარჩუნებდნენ სტრ-

ატეგიულ პარტნიორობას აშშ-სთან და დასავლეთთან, ხოლო მეორეს მხრივ არ წყვეტდნენ რუსეთთან ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ურთიერთობებს. ისრაელი ცდილობდა ნეიტრალიტეტის დაცვას ირანთან დაკავშირებული უსაფრთხოების ინტერესების გამო; საუდის არაბეთი და საამიროები განაგრძობდნენ თანამშრომლობას რუსეთთან OPEC+ ფორმატში; ეგვიპტემ კი შეინარჩუნა თანამშრომლობა „როსატომთან" ბირთვული ენერგეტიკის სფეროში.

2025 წლის რეალობის გათვალისწინებით, რეგიონის სახელმწიფოების პოლიტიკა კვლავ ეფუძნება პრაგმატულ ბალანსს, თუმცა რუსეთის გავლენა შესამჩნევად შემცირდა - ირანის გაძლიერების, დასავლეთის სანქციების და ჩინეთის ეკონომიკური აქტიურობის ფონზე. შედეგად, ახლო აღმოსავლეთი გარდაიქმნა მრავალპოლარულ სივრცედ, სადაც რუსეთის როლი მხოლოდ ერთ-ერთ, მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორად აღარ აღიქმება.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი, ახლო აღმოსავლეთი, ისრაელი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული საამიროები, ეგვიპტე, ენერგეტიკა, საგარეო პოლიტიკა, სტრატეგიული ბალანსი.

შინაარსი

სტატია მიმოიხილავს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების - ისრაელის, საუდის არაბეთის, გაერთიანებული არაბული საამიროებისა და ეგვიპტის - საგარეო პოლიტიკურ პოზიციებსა და მათ ურთიერთობებს რუსეთის ფედერაციასთან. 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებულმა ომმა ახალი გამოწვევები შექმნა რეგიონში, რომლის ქვე-

ყნები ტრადიციულად ცდილობენ ბალანსის დაცვას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

კვლევა აჩვენებს, რომ თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდა საკუთარი მოტივაცია ორმხრივი პოლიტიკის შენარჩუნებისთვის. ისრაელი ემიჯნებოდა რუსეთის ღია დაგმობას ირანთან დაკავშირებული უსაფრთხოების გათვლების გამო, ვინაიდან რუსეთი აკონტროლებდა სირიის საჰაერო სივრცეს, სადაც ისრაელი ირანის სამხედრო ობიექტებზე მოქმედებდა. საუდის არაბეთი, მიუხედავად ამერიკასთან პარტნიორობისა, ინარჩუნებდა თანამშრომლობას რუსეთთან OPEC+ ფორმატში და აგრძელებდა ეკონომიკურ ურთიერთობებს ენერგორესურსების სფეროში. გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა თავი შეიკავეს მკვეთრი განცხადებებისგან და ნაწილობრივ რუსული კაპიტალის თავშესაფრადაც იქცნენ, მაშინ როცა ეგვიპტემ ეკონომიკური კრიზისისა და მარცვლეულის დეფიციტის ფონზე შეინარჩუნა ურთიერთობა რუსულ „როსატომთან“ ატომური ენერგეტიკის პროექტში.

მეთოდოლოგია

აღნიშნულ საკითხზე კიდევ ერთხელ მსჯელობისას და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით დამუშავდა ანალიტიკური ცენტრების მიერ დამუშავებული, ღია წყაროებსა და წამყვან მედია საშუალებებში გამოქვეყნებული სანდო და დროში გადამოწმებული მასალები, რომელთა შეპირისპირებისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სტატიაში დასმული საკითხის მეტ-ნაკლებად ზუსტი სურათის მთავარი კონტურები. კვლევა ეფუძნება ოფიციალურ განცხადებებს, დიპლომატიურ ინიციატივებსა და ეკონომიკური თანამშრომლობის ტენდენციებს.

შედეგები

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წელს დაწყებულ რუსეთ–უკრაინის ომს ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში ერთმნიშვნელოვანი პოზიციები არ მოჰყოლია. რეგიონში არსებულმა სახელმწიფოებმა საერთო სტრატეგიად აირჩიეს საგარეო ბალანსისა და მოქნილი პრაგმატიზმის პოლიტიკა, რაც გამოიხატა იმაში, რომ არცერთმა მათგანმა არ დაუჭირა სრულად მხარი რუსეთის იზოლაციას, თუმცა არც მისი ღია მხარდაჭერა განუცხადებია.

ისრაელის შემთხვევაში გამოიკვეთა მკაფიო სამხედრო–დიპლომატიური სიფრთხილე: ქვეყანამ შეინარჩუნა თანამშრომლობა რუსეთთან სირიის მიმართულებით, რათა არ დაეკარგა ოპერატიული თავისუფლება ირანის წინააღმდეგ მოქმედებისას. ამასთან, ისრაელი თავს იკავებდა უკრაინისთვის თავდაცვითი იარაღის მიწოდებისგან, თუმცა დასავლეთთან პოლიტიკური სოლიდარობა მაინც შეინარჩუნა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ისრაელის უსაფრთხოების პოლიტიკა მეტწილად რეალპოლიტიკური გათვლებით იმართება და ნაკლებად ემორჩილება იდეოლოგიურ ფაქტორებს.

საუდის არაბეთმა და გაერთიანებულმა არაბულმა საამიროებმა გამოავლინეს კლასიკური ენერგეტიკული პრაგმატიზმი: მათ არ შეწყვიტეს თანამშრომლობა რუსეთთან OPEC+ ფორმატში, რითაც უზრუნველყვეს ნავთობის ფასების სტაბილურობა და საკუთარი შემოსავლების ზრდა. ამავდროულად, ორივე სახელმწიფო ცდილობდა დასავლეთთან ურთიერთობების შენარჩუნებას და ამავე დროს არ დაეკარგათ მათთვის კრიტიკული მნიშვნელობის უსაფრთხოების გარანტიებიც. აღნიშნული ტაქტიკა აჩვენებს, რომ ენერგორესურსებზე დამოკიდებულ ქვეყნებში ეკონომიკური ინტერესები დომინირებს პოლიტიკურ სოლიდარობაზე.

ეგვიპტემ, ეკონომიკური კრიზისისა და სასურსათო კრიზისის ფონზე, შეინარჩუნა რუსეთთან თანამშრომლობა ატომური ენერგეტიკის სფეროში, რაც ასახავს ქვეყნის დამოკიდებულებას გარე დაფინანსების წყაროებზე. შედეგად, ეგვიპტე ცდილობს დასავლურ და რუსულ პარტნიორობას შორის ეკონომიკური კომპრომისის მოძებნას, რათა თავიდან აიცილოს ერთ-ერთ ბლოკზე სრული დამოკიდებულება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის სახელმწიფოები იყენებენ რუსეთის ფაქტორს როგორც დიპლომატიური მანევრირების ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ისინი საკუთარი პოზიციების გამყარებას ცდილობენ როგორც აშშ-სთან, ისე ჩინეთთან ურთიერთობებში. 2023–2025 წლების მონაცემების გათვალისწინებით, რუსეთის გავლენა რეგიონში შედარებით შემცირდა, ხოლო ჩინეთის პოლიტიკური და ეკონომიკური როლი გაიზარდა, განსაკუთრებით ენერგეტიკისა და სავაჭრო თანამშრომლობის მიმართულებით.

შედეგად, ფორმირდება ახალი სტრუქტურა, რომელშიც რუსეთი აღარ წარმოადგენს ცენტრალურ აქტორს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ არქიტექტურაში. რეგიონი თანდათან მოძრაობს მრავალპოლარული ძალთა სისტემისკენ, სადაც სახელმწიფოები თავიანთ ინტერესებს ახორციელებენ დამოუკიდებლად და უფრო მეტად ეკონომიკურ სარგებელზე ორიენტირებული ლოგიკით, ვიდრე იდეოლოგიურ საფუძველზე.

დისკუსია

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში დაწყებულ საომარ მოქმედებებს, წინ უძღოდა გარკვეული მოსაზრებები ექსპერტთა და ანალიტიკოსთა წრეებში იმის შესახებ, რომ რუსეთის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი საფრთხეს შეუქმნიდა ევროპის ერთიანობას. გამომდინარე იქიდან, რომ ევროკავშირისა და ნატოს წევრ რიგ ქვეყნებს რუსეთის

ფედერაციასთან ჰქონდათ სავაჭრო, ენერგო უსაფრთხოების, პოლიტიკურ, სამხედრო (თურქეთი სირიაში), საკითხებში შეთანხმებები და ვალდებულებები, არსებობდა არცთუ უსაფუძვლო მოსაზრებები იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ქვეყნებს შორის, უკრაინაში დაწყებულ კონფლიქტში რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა, ბზარს გააჩენდა ნატოს წევრ ქვეყნებს შორისაც, ასევე თავად ამ ორგანიზაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. თუმცა დღესდღეობით მსოფლიო, უკრაინის მიმართ უპრეცედენტო დასავლური ერთსულოვნებისა და დახმარების მოწმე გახდა. სწორედ ამიტომ საინტერესოდ და საჭიროდ მიმაჩნია ახლო აღმოსავლეთის ქვენების რეაქციებისა და მათი აქტივობების გაანალიზება, თუ რამდენად მონოლითური შეიძლება იყვნენ რეგიონის ქვეყნები რუსეთთან დამოკიდებულებაში და რა მიზეზები გააჩნია მათ ქმედებებს.

ისრაელი. 2022 წლის 5 მარტს ისრაელის პრემიერ მინისტრი ნაფთალი ბენეტი (13/072021-30/06/2022) მოულოდნელად ეწვია მოსკოვს და შეეცადა მომრიგებლის როლი შეესრულებინა უკრაინაში რუსეთის მიერ აღნიშნულ ვიზიტამდე 3 კვირით ადრე დაწყებულ ომში. ბენეტის ვიზიტს წინ უძღოდა ორი სატელეფონო ზარი ვლადიმერ პუტინთან და 6 უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან. ისრაელის პრემიერ მინისტრი თავის მცდელობას მორალური ვალდებულებითაც ხსნიდა და მისი ნაბიჯის მნიშვნელობისთვის ხაზგასმის მიზნით, იგი რუსეთის პრეზიდენტს შაბათს ეწვია, იმ დღეს, როდესაც კონსერვატორი ებრაელები არ მოგზაურობენ, თუ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა არ არის გადასაჭრელი. უკრაინული მხარე პოზიტიურად შეხვდა ისრაელის აღნიშნულ აქტივობას და გამოითქვა გარკვეული იმედებიც, ზოგიერთმა სპეციალისტმა ბენეტის ნაბიჯს „პოზიტიური ძვრაც“ უწოდა. (1) თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ად-

რე უკრაინის ელჩი ისრაელში იევგენ კორნიჩუკი მედიისთვის გამართულ კონფერენციაზე აცხადებდა, რომ ისრაელს „ეშინოდა“ რუსეთის. იგი მოუწოდებდა ისრაელს, უკრაინისთვის გადაეცა ჩაფხუტები და ჯავშანჟილეტები, საბნების, მედიკამენტების და სხვა 100 ტონა ჰუმანიტარული ტვირთის ნაცვლად, რომელიც იმ თვეში მიაწოდა ამ ქვეყანამ უკრაინას. (2) საბოლოოდ ისრაელის პრემიერის ინიციატივით წამოწყებული მედიაცია უშედეგო აღმოჩნდა კონფლიქტის დეესკალაციისთვის. გარდა იმისა, რომ რუსული მხარე დასახულ მიზანზე უარის თქმას არ აპირებდა ომის დასაწყისში და არც მერე, მოვლენათა მსგავს განვითარებას მთელი რიგი ინდიკატორები ახლდა თან. სწორედ ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთხელ გადავავლო თვალი იმ წინაპირობებს, რომელთაც 5 მარტის ვიზიტამდე ჰქონდა ადგილი. 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომი ისრაელის საგარეო პოლიტიკის ძალზე სერიოზულ გამოწვევად იქცა, ვინაიდან კონფლიქტში ირიბად მონაწილე მხარეებთან: დასავლეთთან (სახელდობრ ამერიკის შეერთებულ შტატებთან), უკრაინასთან, რუსეთთან, ყოველ მათგანთან სხვადასხვა სახის ურთიერთობები გააჩნია, რაც თავის მხრივ გარკვეულწილად განსაზღვრავს ამ ქვეყნის დამოკიდებულებასა და თამაშის წესებს რეგიონის დანარჩენ აქტორებთანაც.

ისრაელსა და უკრაინას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 31 წლის წინ დამყარდა. ორივე ქვეყანაში ცხოვრობენ მრავალრიცხოვანი ებრაული თემები (ისრაელში უკრაინიდან ემიგრირებული), 2019 წელს უკრაინა გახდა იმ 9 ქვეყნიდან ერთ-ერთი, რომელმაც ისრაელთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გააფორმა, ხოლო 2021 წელს უკრაინის თავდაცვის მინისტრი ეწვია ისრაელს, რომლის დროსაც განიხილეს უკრაინის მიერ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალების „რკინის

გუმბათის“, რაკეტსაწინააღმდეგო და კიბერუსაფრთხოების სისტემების შესყიდვის შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინიციატივას აშშ-იც უჭერდა მხარს, შეთანხმება ვერ შედგა. საკითხით დაინტერესებულ საექსპერტო და ანალიტიკურ წრეებში აღნიშნული შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ცნობილია, რომ თუ ისრაელი თავს შეიკავებდა უკრაინის თავდაცვის სისტემების მოდერნიზაციისგან, სამაგიეროდ რუსეთი შეზღუდავდა ირანისთვის იარაღის მიყიდვას. 2019 წელს, ისრაელის ექსპრემიერ მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს მრჩეველი ირწმუნებოდა, რომ რუსეთმა გააუქმა ირანისთვის რაკეტების მიყიდვის შეთანხმება, რასაც იმავეთი უპასუხა ისრაელმაც, კერძოდ ორჯერ დადო პირობა, რომ არ მიჰყიდდა იარაღს უკრაინას და გარდა ამისა აუკრძალა ესტონეთს, ლატვიასა და ლიეტუვას ამ ქვეყნისთვის ისრაელისგან შეძენილი იარაღის მიწოდება. 2014 წელსაც ყირიმის ოკუპაციას ისრაელი სიჩუმით შეხვდა, მეტიც, ამ ქვეყნის დელეგაცია არ დაესწრო გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სესიას, რომლის დროსაც კენჭი უყარეს ყირიმის ოკუპაციის განხილვის რეზოლუციას. ისრაელის მხრიდან უკრაინის პრობლემის მიმართ თავშეკავებული მოქმედება ისევ ირანს უკავშირდება და ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. ცნობილია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ისრაელი რუსულ მხარესთან კოორდინაციის მეშვეობითა და შეთანხმებით ავია დარტყმებს აყენებდა ირანის სამხედრო ობიექტებს სირიაში. გამომდინარე იქიდან, რომ სირიის საჰაერო სივრცეს ძირითადად სწორედ რუსი სამხედროები აკონტროლებდნენ, ისრაელის მხარე შიშობდა, რომ თუ ისინი უკრაინის სასარგებლოდ იმოქმედებენ, რუსეთი შეწყვეტდა მათთან ზემოთ ხსენებულ თანამშრომლობას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ 2022 წლის 17 სექტემბერს, რუსმა ყოფილმა დიპლომატმა, რომელიც ასევე იყო რუსეთისა

და არაბული სახელმწიფოების მეგობრობის ხელმძღვანელი, (3) ვიაჩესლავ მატუზოვმა, საუდის არაბეთში დაფუძნებულ ტელევიზია „ალ-ჰადასში“ არაბულ ენაზე განაცხადა, რომ: ისრაელის მიერ სირიაში განხორციელებულ დარტყმებთან დაკავშირებით გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს იყო კოორდინირებული მოქმედება ისრაელისა და რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობებს შორის, სიმართლეს არ შეესაბამებოდა. აღნიშნული საკითხის გაქარწყლების მიზნით იგი უფრო შორსაც წავიდა და თავის ნათქვამის მტკიცებულებად მოიყვანა შემდეგი რეალობას მოკლებული და სუბიექტური მსჯელობა: მატუზოვის განცხადების თანახმად, დღესდღეობით რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ომი უკრაინაში.

„ეს ომი არ მიმდინარეობს უკრაინელების და უკრაინული ჯარის წინააღმდეგ. მთლიანად დასავლეთის სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალები არიან ჩართული კონფლიქტში, მათ შორის ისრაელისაც. ჩვენ კარგად ვიცით რა ურთიერთობები გააჩნიათ ზელენსკის და ისრაელს, თავდაცვის მინისტრ რეზნიკოვს. ყველა მათგანი წარმომავლობით ებრაელია. უკრაინის დაახლოებით მთელ ხელმძღვანელობას ისრაელის პასპორტები აქვთ: ზელენსკის, პრემიერ მინისტრ შმიგალს, თავდაცვის მინისტრ რეზნიკოვს, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დაძაბულობა რუსეთ-ისრაელს შორის მიმდინარეობს“.-განაცხადა მატუზოვმა. (4)

აღნიშნული განცხადებიდან გამომდინარე, ერთი რამ ფაქტია, არაბული სამყაროსა და ირანული მხარის გარკვეული ნაწილის წინაშე, ისრაელის მხრიდან სირიაში განხორციელებული ხანგრძლივი ავიადარტყმები, სულ უფრო მეტ უხერხულობაში აგდებდა რუსეთის ფედერაციას.

ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ირანი ჩართული იყო თავის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში, სადაც მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები რუსეთთან ერთად. რუსეთიც იზიარებს ისრაელის სიფრთხილეს ირანის მიერ ბირთვული პოტენციალის არამშვიდობიანი გზით გამოყენების საფრთხესთან დაკავშირებით და ამ მოსაზრებით ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოსთვის სტრატეგიული იარაღის მიყიდვას, რასაც ავტომატურად მოჰყვა C-400-ების ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მიყიდვაზე უარიც. რაც შეეხება შიდა პოლიტიკურ სიტუაციას ისრაელში, 1990-იანი წლების შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მილიონამდე ებრაული წარმომავლობის ემიგრანტი ჩავიდა ამ ქვეყანაში, რომელთა შორისაც როგორც ზემოთ აღინიშნა, 500 000 უკრაინელი ებრაელია და 400 000 რუსი ებრაელი, რომლებიც ჯამში ამომრჩეველთა 12%-ს შეადგნენ. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2020 წლის არჩევნებზე ნეთანიაჰუ ეცადა მისი პუტინთან კავშირის გათამაშების გზით „რუსული ხმები“ მოეზიდა, რასაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. (5) ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ ისრაელის თავშეკავებულ პოზიციას ქვეყნის შიგნით ინტელექტუალური წრეების ნაწილში კრიტიკაც მოჰყვა. თელ-ავივის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ლექტორის ემანუილ ნავონის აზრით, მსგავსი პოლიტიკის გატარებით ისრაელი სულ უფრო მეტი რისკის ქვეშ დგებოდა, რომ ჩამდგარიყო „პუტინის სასარგებლო იდიოტთა“ რიგში. მათ ქვეყანას ადრე თუ გვიან მაინც მოუწევდა თავის ევროპელი და ამრიკელი მოკავშირეების პოზიციების გაზიარება და რუსეთის ქმედებების უფრო მკაფიოდ დაგმობა. ასევე, მისივე განცხადების თანახმად, ისრაელს შეეძლო თავის მოკრძალებული წვლილი შეეტანა ევროპის ენერგო რესურსების დივერსიფიკაციაში, მიეწოდებინა ნატურალური

გაზი და გაეთავისუფლებინა რუსეთზე დამოკიდებულებისგან. აქვე საგულისხმოა, რომ 2022 წლის თებერვალში, უკრაინაში ვიზიტით მყოფმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა უკან დაბრუნებისას მზადყოფნა გამოთქვა ისრაელისგან ნატურალური გაზის შესყიდვასა და აღნიშნული ენერგო რესურსის ევროპისთვის მიწოდებისთვის ხელშეწყობაზე. (6)

საუდის არაბეთი. 2022 წლის 18 თებერვალს რუსეთის სახელმწიფო დუმის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ სლუტსკიმ განაცხადა, რომ რუსული მხარე მიესალმებოდა საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე პრინცის მუჰამმად ბინ სალმან ალ-საუდის პრინციპულ პოზიციას შემხვედრ დიალოგთან დაკავშირებით, რომელიც პრინცის განცხადების თანახმად არა მხოლოდ ყურე-ს ქვეყნებს შორის, არამედ რეგიონის ყველა მოთამაშესთან უნდა გამართულიყო.

„ეს პოლიტიკურად ბრძნული და დიპლომატიაზე დაფუძნებული მიდგომა არის ჩვენი ინიციატივების ქვაკუთხედი, რაც ასევე მოიცავს რუსეთის კონცეფციასაც ყურე-ს კოლექტიური უსაფრთხოების საკითხში“-განაცხადა სლუტსკიმ და ასევე დადებითად შეაფასა ერ-რიადის მზადყოფნა თეირანთან მოლაპარაკებების გაგრძელებაზე. (7)

გარდა ზემოთ თქმულისა, ბინ სალმანის ურთიერთობებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან საკმაოდ მრავალ წახნაგიანი და არაერთგვაროვანი ისტორია აქვს. 2018 წელს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად სწორედ ტახტის მემკვიდრე პრინცის პირდაპირი ჩარევით განხორციელდა საუდის არაბეთის მკვიდრი დისიდენტი ჟურნალისტის ჯამალ აჰმად ხაშკაჯის სტამბოლში არსებული სამეფოს საკონსულოში შეტყუება, რასაც შემდგომ ჯამალის ფიზიკური ლიკვიდაცია მოჰყვა. ხსენებული ანგარიშის გამქვეყნება პრეზიდენტ ჯო ბაიდენის თანხმობით

განხორციელდა, მაგრამ მანვე გაეროს მიერ ინიციირებულ აღნიშნული საქმის გამოძიებას მხარი აღარ დაუჭირა. ხაშკაჯის გარდა სასამართლოში სარჩელი ჰქონდა შეტანილი საუდის არაბეთის დაზვერვის ყოფილ ოფიცერს საად ალ-ჯაბრის, რომლის მტკიცებითაც პრინცი მასაც მოკვლას უპირებდა. ასევე ცნობილია ისიც, რომ იემენში მიმდინარე ომის გამო და სამეფოს მიერ ატომური პროგრამის განვითარების მიმართულებით საუდის არაბეთის დე ფაქტო მმართველს აშშ-ის მეტი დახმარება და თანადგომა ესაჭიროება. თავის დროზე ამერიკის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული პირველი გზავნილის თანახმად, იემენში ომის დასრულება მისი ადმინისტრაციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა. გარდა ამისა, საუდის არაბეთის სამხედრო ავია პარკში არსებული F-15-ის, ტორნადოს ტიპის თვითმფრინავები და აპაჩის სერიის ვერტმფრენები მთლიანად დამოკიდებულია ამერიკელი და ბრიტანელი ტექნიკოსების მომსახურებასა და ამ ქვეყნებიდან მიწოდებულ სათადარიგო ნაწილებზე, რაც თავის მხრივ ბინ სალმანზე ზეწოლის თავისებურ ბერკეტს წარმოადგენდა აშშ-ის პრეზიდენტისთვის. The Middle East Eye-ს თანადამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი დეივედ ჰერსტი არცთუ უსაფუძვლოდ აღნიშნავდა, რომ ჯო ბაიდენის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავებამ გამოიწვია ყურე-ს ორი ქვეყნის, საუდის არაბეთისა და გაერთიანებული არაბული საამიროების საგარეო პოლიტიკის წარმოებაში ცვლილებები, რაც საუდის არაბეთის მხრიდან კატარის ბლოკადის მოხსნაში და საამიროების მიერ თურქეთში განხორციელებულ ინვესტიციებში გამოიხატებოდა. გარდა ამისა, საუდის არაბეთმა 2021 წლის აგვისტოში გამართულ სავაჭრო ფორუმზე სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმება გააფორმა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრთან და პრეზიდენტ

ვლადიმერ პუტინთან დაახლოებულ სერგეი შოიგუსთან (რუსეთის თავდაცვის მინისტრი 06/11/2012).

გარდა ამისა, 2022 წლის თებერვლიდან მარტის თვემდე, საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წევრმა, მილიარდერმა პრინც ალ-ვალიდ ბინ ტალალმა 500 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა რუსულ კომპანიებში. პრინცის კომპანიამ 365 მილიონი დოლარის ღირებულების წილი შეიძინა გაზპრომში, 52 მილიონის ინვესტიცია განახორციელა როსნეფტში და 109 მილიონის ლუკოილში. (8)

2022 წლის 21 სექტემბერს ასევე ცნობილი გახდა, რომ თურქეთისა და საუდის არაბეთის მედიაციით, მასშტაბური ტყვეთა გაცვლა განხორციელდა რუსეთსა და უკრაინას შორის. რუსეთმა 215 უკრაინელი ტყვე გაათავისუფლა, რომელთა შორისაც იყვნენ მარიუპოლში მდებარე „აზოვსტალის“ დამცველთა 5 მეთაურიც, სანაცვლოდ კი 55 პირი მიიღო. Middle East Eye-სთან დაახლოებულმა წყარომ განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პირადად სთხოვა თავის თურქ კოლეგას რეჯეპ ტაიპ ერდოღანს, დახმარებოდა პუტინთან დაახლოებული უკრაინელი პოლიტიკოსისა და ოლიგარქის ვიქტორ მედვედჩუკის გათავისუფლებაში. ერთი თვის შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან ლვოვში შეხვედრის შემდეგ, უკრაინის პრეზიდენტი დათანხმდა ერდოღანს მედვედჩუკის 200 უკრაინელ ტყვეში გაცვლაზე

საუდის არაბეთმა მონაწილეობა მიიღო უცხოელ მებრძოლთა გათავისუფლების საკითხში, რომელთა შორისაც იყვნენ დონეცკის თვითგამოცხადებული სახალხო რესპუბლიკის სასამართლოს მიერ სიკვდილ მისჯილი მაროკოელი ბრაჰიმ საადუნი და ბრიტანელი აიდენ ასლინი, საბოლოოდ, ხსენებულ პირებთან ერთად ასევე გათავისუფლდნენ ბრიტანეთის მოქალაქეები ჯონ ჰარდინგი და შონ პინერი, კიდევ ორი გათავისუფლე-

ბული ბრიტანელის ვინაობა უცნობი იყო იმ დროისთვის. ოდნავ მოგვიანებით, ბრიტანეთის ექს-პრემიერ მინისტრმა ლიზ ტრასმა (06/09/2022-25/10/2022) მადლობა გადაუხადა საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე პრინცს, უკრაინის აღმოსავლეთში დატყვევებული 5 ბრიტანელის გათავისუფლებაში მონაწილეობის გამო. (9)

გაერთიანებული არაბული საამიროები. საამიროების მხრიდან რუსეთთან დაკავშირებით შერეული სახის გზავნილები კეთდებოდა მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა უკრაინაში შეიჭრა. საამიროებმა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ უკრაინიდან რუსეთის ჯარების დაუყოვნებელი გაყვანის შესახებ მიღებულ რეზოლუციას მხარი დაუჭირა, მაგრამ იგივე უშიშროების საბჭოს მიერ საკითხზე შედგენილ დოკუმენტზე ხმის მიცემისგან თავი შეიკავა. გარდა ამისა, 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ დასავლეთის მიერ სანქცირებული რუსი ოლიგარქებისთვის აქტივების დაბანდების საკითხში აბუ-დაბიმ მნიშვნელოვან წილად ჩაანაცვლა ლონდონი და საამიროებში რუსული კაპიტალის შემტანთა ინტერესი კვლავ მაღალი იყო იმავე წლის მარტის მონაცემებით. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყურის არცერთი ქვეყანა არ იყო დაინტერესებული ნავთობზე ფასის ვარდნით და არ აპირებდნენ უარის თქმას ნავთობდოლარებით მიღებულ უზარმაზარ შემოსავლებზე, რის გამოც ყურე-ს ორივე ქვეყნისთვის (საამიროებისა და საუდის არაბეთისთვის) რუსეთის ომი ეკონომიკური მოგების მიღებისთვის მომგებიანი თამაში იყო. იმ პერიოდისთვის ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის წინაშე მდგარი გამოწვევებიდან ერთ-ერთი სწორედ ნავთობის მოპოვების საკითხებში გაერთიანებულ საამიროებთან შეთანხმების მიღწევა იყო, ზემოთ ხსენებული გარემოება თეთრ სახლს მნიშვნელოვან ბარიერს უქმნიდა რათა

დაეყოლიებინა ეს უკანასკნელი ხელი არ შეეწყო რუსეთისთვის სანქციებისგან თავის არიდებაში. (10)

ეგვიპტე. უკრაინაში დაწყებული ომის შემდეგ ქვეყანა პირველად დადგა საკვებ პროდუქტებზე გამოწვეული უპრეცედენტო ინფლაციის წინაშე 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ. ომის დაწყებიდან 3 კვირის შემდეგ ეგვიპტეში მარცვლეულის ფასი ერთ ღამეში 44%-ით გაიზარდა, ვინაიდან ქვეყანაში აღნიშნული პროდუქტის 4 თვის მარაგი იყო დარჩენილი და ეგვიპტე მთლიანად იყო დამოკიდებული უკრაინულ მარცვლეულზე, რისი სწრაფად ჩანაცვლებაც ვერაფრით მოხერხდა. პარალელურად ქვეყნის განვითარებადი ბაზარი არასტაბილურობის მიზეზით დატოვეს ინვესტორებმა, რასაც ავტომატურ რეჟიმში მოჰყვა ეგვიპტის სახელმწიფო ვალების ინვესტორების მიერ შესყიდვის შემცირებაც. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, ეკონომისტ ამდუჰ ალ-ვალის აზრით ქვეყანა ორმხრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მარწუხებში აღმოჩნდა. სწორედ რუსეთ უკრაინის ომი გახდა იმის მიზეზი, რომ უკრაინაში შეჭრიდან ერთი კვირის შემდეგ, ეგვიპტიდან 3 მილიარდი დოლარის გადინება მოხდა, ალ-ვალის განმარტებით იმის და მიუხედავად გაგრძელდებოდა თუ შეწყდებოდა ომი უკრაინაში, ეგვიპტის სახელმწიფო ვალი ინვესტორთა გადინების გამო გაიზრდებოდა აშშ-ის საპროცენტო განაკვეთთან ერთად.

ამასთან საინტერესოა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება, რაც გვიჩვენებს იმას, თუ რამდენად და რა საკითხებში რჩება თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დღემდე ითვლება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ პარტნიორად რეგიონში, (11) 2015 წელს ეგვიპტემ და რუსეთმა გააფორმეს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დაბააში, კაიროდან 130 კილომეტრში, უნდა აშენდეს 4800 მეგავატის სიმძლავრის, 4 ბირთვული რეაქტორის მქონე

ატომური სადგური, პროექტის ღირებულება 30 მილიარდ დოლარს შეადგენს. ასევე შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ატომური სადგური საწვავით უნდა მოამარაგოს რუსეთის სახელმწიფო ატომურმა სააგენტო როსატომმა თავის არსებობის მანძილზე, ხოლო ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება ასევე რუსულმა მხარემ უნდა გაწიოს 10 წლის განმავლობაში. აქვე აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კორეა შეუერთდა ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ რუსეთზე ეკონომიკური ზეწოლის აქციას, შეწყვიტა ოპერაციები რუსეთის ცენტრალურ ბანკთან და ფონდებთან და აკრძალა სტრატეგიული მასალების ექსპორტი ამ ქვეყანაში, 2022 წლის პირველ სექტემბერს აგრეთვე ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული სადგურის ტურბინებით უზრუნველყოფას განახორციელებდა სამხრეთ კორეა, რომლის პროექტის განხორციელების მიზნით სამხრეთ კორეის ჰიდრო და ბირთვული ენერგიის სახელმწიფო სააგენტომ 2,25 მილიარდი დოლარის შეთანხმება გააფორმა როსატომთან. 2022 წლის 25 აგვისტოს სეულში გამართულ პრესკონფერენციაზე სამხრეთ კორეის პრეზიდენტის უფროსმა მდივანმა ეკონომიკურ საკითხებში ჩოი სანგ-მოკმა განაცხადა, რომ დაბაას ატომური სადგური მისი ქვეყნის უმსხვილესი პროექტის ექსპორტს წარმოადგენს 2009 წლის შემდეგ, როდესაც მისმა ქვეყანამ ბარაქას ატომური სადგური ააშენა გაერთიანებულ არაბულ საამიროებში. (12)

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როსატომის პროექტები, რეგიონში დაბაას ატომური სადგურის აშენების პერსპექტივით არ დასრულებულა და 2022 წლის 16 სექტემბრის მონაცემებით, როსატომმა 9,1 მილიარდი დოლარის სესხის ხელშეკრულება გააფორმა გაზპრომბანკთან (რომელსაც კვლავ გააჩნდა წვდომა საერთაშორისო გადახდის სისტემა SWIFT-თან), აღნიშნული თანხის თურქეთის აკკუიუს ატომური სადგურის მშენებ-

ლობისა და განვითარებისთვის გამოყენების მიზნით. სექტე-მბერში როსატომმა გამოაქვეყნა უკვე 3 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმება, რომლის თანახმადაც: 7 $ მილიარდი მოხმარდება აკკუიუს ტრიტორიაზე ატომური სადგურის აშენებასა და მის შემდგომ ექსპლუატაციას, რომელშიც შედის 4 რეაქტორით უზ-რუნველყოფაც. 1,6 $ მილიარდი ყაზახეთში ურანის საბადოების განვითარებასა და აღნიშნული ელემენტის მოპოვებას მოხმარ-დება, 500 $ მილიონი დაიხარჯება ლითიუმის მოპოვების ხარჯ-ებზე. (13)

დამუშავებული ფაქტოლოგიური მასალების შეჯამების ფონზე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოს-ავლეთის რეგიონის სტატიაში განხილული ქვეყნები ორმაგი თა-მაშის ტაქტიკის მიმდევრები არიან. აღნიშნული სახელმწიფოები ინარჩუნებენ სტრატეგიული თანამშრომლობის ფორმატს ამერ-იკის შეერთებულ შტატებთან, მაგრამ იმავე დროს ცდილობენ არ გაწყვიტონ კავშირი რუსეთის ფედერაციასთანაც. მათი ასეთი ნაბიჯები, გარდა სტატიაში აღწერილი გარემოებებისა, გამოწვე-ულია იმითაც, რომ განხილულ ქვეყნებში, ისრაელის გარდა, დამკვიდრებული მართვის სტილი შორს არის დასავლური გაგ-ების დემოკრატიული მოდელისგან და იმ ძირითადი ფასეულ-ობებისგან რასაც ადამიანის უფლებები წარმოადგენს. შესაბა-მისად ამ ქვეყნებისთვის ისეთ სახელმწიფოებთან ურთიერთ-ობების შენარჩუნება როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი, სარ-ფიანის გარდა მიმზიდველიცაა. ამასთან ასეთ ქვეყნებთან ურთ-იერთობებით მანიპულირება განხილულ ქვეყნებს დასავლელ პარტნიორებთან მიმართებით დამატებითი ბერკეტების ფლო-ბის საშუალებას უჩენს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2022 წელს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ორმაგი თამაშის ტაქტიკა თავდაპირველად სარგებელზე დაფუძნებულ პრაგმა-ტიზმად აღიქმებოდა, თუმცა 2025 წლისთვის ის უფრო გათ-

ვლილი „სტრატეგიული ბალანსის პოლიტიკად“ იქცა. რუსეთ-უკრაინის ომმა და პარალელურად ისრაელ-ჰამასის კონფლიქ-ტმა ნათლად აჩვენა, რომ რეგიონის არცერთი სახელმწიფო არ არის მზად ერთი ბანაკის მყარ მოკავშირედ ჩამოყალიბდეს. მიუ-ხედავად ამისა, რუსეთი თანდათან კარგავს გავლენას რეგიონში: ისრაელთან ურთიერთობები გაცივდა, ეგვიპტესთან თანამშრ-ომლობა მხოლოდ ენერგეტიკულ დონეზე შემოიფარგლა, ხოლო საუდის არაბეთი და საამიროები უფრო მეტად ჩინეთის გავლ-ენის ქვეშ შევიდნენ.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთში რუსეთის როლი 2025 წლისთვის შემცირდა როგორც პოლი-ტიკური შუამავლობის, ისე ეკონომიკური პარტნიორობის თვა-ლსაზრისით - მისი ადგილი ნაწილობრივ ჩინეთმა დაიკავა. აქე-დან გამომდინარე, მიუხედავად წარმატებული და წარუმ-ატებელი მედიაციების მცდელობებისა, დასავლეთის აქტიური ჩარევის გარეშე კონფლიქტების (არა მარტო უკრაინაში) მოგვა-რების პერსპექტივები ახლა და განჭვრეტად მომავალშიც საკმა-ოდ არაპროგნოზირებადი და ბუნდოვანი ჩანს.

ბიბლიოგრაფია:

წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია კომპლექსურია და გამო-ყენებულია შეზღუდული რაოდენობით სტატიაში დასმული კი-თხვებისა და მოცემული პრობლემატიკის საჭიროებიდან გამომ-დინარე. საკითხის სხვადასხვა რაკურსით გაშუქებისა და კიდევ უფრო ღრმად შესწავლის მიზნით, ვრცელი მასალები ხელმი-საწვდომია აღნიშნულ საკითხებთან შესახებ გამოქვეყნებულ სხვა სტატიებსა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

(1) Israel's Bennett emerges as a mediator in Russia-Ukraine warBy JOSEF FEDERMAN March 16, 2022 https://apnews.com/article/russia-ukraine-putin-jerusalem-israel-europe-80971697a5bf5f09ec17aea4e6a9a69b

(2) With ties to Russia and Ukraine, Israeli leader seeks to turn awkward position into diplomatic opportunity By Shira Rubin, March 15, 2022 at 9:50 a.m. EDT https://www.Washingtonpost.com/world/2022/03/15/israel-bennett-ukraine-russia/

(3) Warsaw Conference not to compensate US defeats: Russian ex-diplomathttps://en.irna.ir/news/83183314/Warsaw-Conference-not-to-compensate-US-defeats-Russian-ex-diplomat

(4) القيادة بين التنسيق عن الحديث :ماتوزوف فيتشسلاف السابق الدبلوماسي - موسكو صحيحًا ليس سوريا في الضربات بشأن والروسية الإسرائيلية العسكرية https://nabd.com/s/108934329-c6a1ad/فيتشسلاف-السابق-الدبلوماسي-بشأن-والروسية-الإسرائيلية-العسكرية-القيادة-بين-التنسيق-عن-الحديث-ماتوزوف-صحيحًا-ليس-سوريا-في-الضربات

(5) Why Israel is walking a tightrope on the Ukraine crisis https://english.alaraby.co.uk/analysis/why-israel-walking-tightrope-ukraine-crisis As Russia invades Ukraine, Israel walks a diplomatic tightrope https://neweasterneurope.eu/2022/07/14/as-russia-invades-ukraine-israel-walks-a-diplomatic-tightrope/

(6) With ties to Russia and Ukraine, Israeli leader seeks to turn awkward position into diplomatic opportunity By Shira Rubin, March 15, 2022 at 9:50 a.m. EDT https://www.washingtonpost.com/world/2022/03/15/israel-bennett-ukraine-russia/

(7) Russian lawmaker supports Riyadh's position on diplomatic settlement of regional conflicts https://tass.com/russia/1406707

(8) Saudi billionaire Prince Al Waleed bin Talal 'invested $500 million in Russian firms' days before Ukraine invasion https://english.alaraby.co.uk/news/saudi-prince-invested-500m-russia-firms-

aheadwar?fbclid=IwAR2pj2osrtXyn5ooqeUuBA0GNlexGNrxhr ZK 15OX_I7p3yYirb8PfXNWoWw

(9) Russia-Ukraine war: Major prisoner swap following Turkey and Saudi mediation https://www.middleeasteye.net/news/russia-ukraine-war-saudi-arabia-mediation-release-foreign-prisoners?utm_source=Facebook&utm_medium=Social&utm_campaign=Social_Traffic&utm_content=ap_6kowfp4org&fbclid=IwAR1fyt9fQA7JpWjMJfbtoZWGV5i_OZm_oOw0BnYGOy7jDT2k-vr9UuJkO4g أسرى 5 بتحرير لدوره السعودي العهد ولي تشكر تراس بريطانيين https://www.alarabiya.net/saudi-today/2022/09/26/تراس-بريطانيين-أسرى-5-بتحرير-لدوره-السعودي-العهد-ولي-تشكر-

(10) The UN Resolution on Ukraine: How Did the Middle East Vote? https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/un-resolution-ukraine-how-did-middle-east-vote John Hyatt. Giacomo Tognini. Russian Oligarchs Fleeing Sanctions Are House Hunting In Dubai. https://www.forbes.com/sites/johnhyatt/2022/04/08/russian-oligarchs-fleeing-sanctions-are-house-hu nting-in-dubai/?sh= 7d0c39d158ce Giorgio Cafiero. Analysis: Can the UAE be a safe haven for Russian oligarchs? https:// www. aljazeera.com/ news/2022/3/14/analysis-can-the-uae-be-a-safe-haven-for-russian-oligarchs Aimee Donnellan. UAE could be Russian oligarchs' next playground. https: //www.reuters. com/market s/asia/uae-could-be-russian-oligarchs-next-playground-2022-03-04/ Samantha Gross. Biden's trip to Saudi Arabia is unlikely to lower oil prices. https://www. brook ings.edu/blog/order-from-chaos/2022/07/14/bidens-trip-to-saudi-arabia-is-unlikely-to-lower-oil-prices/Opec: What is it and what is happening to oil prices? https://www.bbc.com /news/business-61188579

(11) U.S. Relations with Egypt. BILATERAL RELATIONS FACT SHEET, BUREAU OF NEAR EASTERN AFFAIRS. APRIL 29, 2022 https://www.state.gov/u-s-relations-with-egypt/

(12) Russia, South Korea cooperate on Egypt's Dabaa nuclear plant https://www.al-monitor.com/originals/2022/08/russia-south-korea-cooperate-egypts-dabaa-nuclear-plant#ixzz7gBuKhuYc

South Korea signs deal with Russia to help build Egypt's first nuclear power plant https://www.timesofisrael.com/south-korea-signs-deal-with-russia-to-help-build-egypts-first-nuclear-power-plant/

(13) Russian state firm signs $9.1bn loan deal to fund nuclear plant in Turkey https://www.middleeasteye.net/news/russia-turkey-gazprombank-akkuyu-plant-loan-fund?utm_source=Facebook&utm_medium=Social&utm_campaign=Social_Traffic&utm_content=ap_yh9akofu48&fbclid=IwAR3D356eEiJaUQMXCHiJ-wkQ9YROai_2Fyp3hWYFiKuLmjDOoxRrYuIuhR8